LSDRC
სამართლებრივი სისტემის განვითარების კვლევითი ცენტრი
Legal System Development Research Centre

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ შოთა ტყეშელაშვილს

,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, საპროკურორო საბჭომ 2024 წლის 27 მაისს, აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან დაიწყო საქართველოს გენერალური პროკურორის შერჩევისთვის განსაზღვრული პროცესი და გენერალური პროკურორობის კანდიდატთა წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2024 წლის 27 ივნისი.

სამართლებრივი სისტემის განვითრების კვლევითმა ცენტრმა შესაბამისი მსჯელობისა და კონსულტაციების შედეგად, გადავწყვიტეთ საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოგიდგინოთ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე - გიორგი გაბიტაშვილი.

გიორგი გაბიტაშვილმა 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მან პროკურატურაში მუშობა დაიწყო სტაჟიორ-პროკურორად 2005 წლიდან და აღნიშნულ უწყებაში, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გაიარა პრაქტიკულად ყველა თანამდებობრივი საფეხური, რიგითი პროკურორიდან გენერალური პროკურორის მოადგილეობამდე.

2009 წლიდან გიორგი გაბიტაშვილი იკავებს სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას. იყო შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში კი მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2013 წლიდან დღემდე კი არის გენერალური პროკურორის მოადგილე.

საპროკურორო საბჭო
PROSECUTORIAL COUNCIL
№ 01/13-37-47
27 06 2024 წ.

ვფიქრობთ, გიორგი გაბიტაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, მათ შორის პროფესიული თვისებებით, ზნეობით, ავტორიტეტით და პროკურატურაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით.

თავისი პროფესიონალიზმით, მენეჯერული და პიროვნული თვისებებით აქვს ყველა უნარი, რათა იყოს პრინციპული, სამართლიანი და პოლიტიკურად ნეიტრალური გენერალური პროკურორი.

გიორგი გაბიტაშვილს თავისი მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება, დაეხმარება საპროკურორო საქმიანობის კეთილსინდისერად და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად წარმართვაში. უზრუნველყოფს საქართველოს პროკურატურის შემდგომ უწყვეტ განვითარებას, რეფორმირებას და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ გიორგი გაბიტაშვილი, როგორც საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებში, ასევე იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი ნდობით და ავტორიტეტით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოგიდნენთ გიორგი გაბიტაშვილს.

პატივისცემით

კვლევითი ცენტრის თავმჯდომარე: გიორგი გაბოძე

თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №1
კორპუსი N2, კომერციული ფართი №5

Tbilisi, marshal gelovani avenue №1
Block N2, commercial space №5.

☎ **032 2 22 23 34**
✉ **info@lsdrc.ge**

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს,

ბატონ შოთა ტყეშელაშვილს

ბატონო შოთა,

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს 2024 წლის 27 მაისის განკარგულებით გენერალური პროკურორის შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი.

აკადემიური წრისა და სამართლის დარგის წარმომადგენლებმა, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორებმა: ირაკლი ნადარეიშვილმა, ია ჩხეიძემ, ლაშა ფანჩულიძემ, გიორგი კაკულიამ და იოსებ ხუციშვილმა ვიმსჯელეთ და შევჯერდით საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად გიორგი გაბიტაშვილის წარდგენის თაობაზე. ამავდროულად, გავითვალისწინეთ ჩვენს ინიციატივაზე საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა უმრავლესობის მხარდაჭერის ფაქტი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პროკურატურის უწყვეტი განვითარების, უწყების სტრატეგიული მიზნების შეუფერხებელი განხორციელებისა და სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელ პირს გააჩნდეს მრავალწლიანი საპროკურორო საქმიანობის გამოცდილება და შესაბამისი მენეჯერული უნარები.

ვფიქრობთ, გიორგი გაბიტაშვილი სრულად აკმაყოფილებს გენერალური პროკურორისთვის „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ შესაბამისობის კრიტერიუმებს, მათ შორის, ზნეობით, პროფესიული თვისებებით, მაღალი ავტორიტეტით და პროკურორად მუშაობის თითქმის ორი ათეული წლის წარმატებული გამოცდილებით. აღსანიშნავია, რომ გიორგი გაბიტაშვილი არაერთი წელია ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის პოლიტიკის აღსრულებას, არის პროკურატურის თანამშრომელთა განვითარებასა და უკეთესი სამუშაო გარემოს შექმნაზე ორიენტირებული ხელმძღვანელი.

საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობის, სისტემური მდგრადობის და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ისეთი კანდიდატის წარდგენა, რომელსაც გავლილი აქვს სისტემაში კარიერული განვითარების ყველა საფეხური - სტაჟირებიდან გენერალური პროკურორის მოადგილეობამდე.

გიორგი გაბიტაშვილს კარიერული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მიღებული გამოცდილება შესაძლებლობას აძლევს სწორად დააიდენტიფიციროს პროკურატურის სისტემის პრაქტიკული საჭიროებები და სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტები ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სამართალწარმოების პროცესში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოგიდგენთ გიორგი გაბიტაშვილს.

1. სამართლის დოქტორი: ირაკლი ნადარეიშვილი

2. სამართლის დოქტორი: ია ჩხეიძე

3. სამართლის დოქტორი: ლაშა ფანჩულიძე

4. სამართლის დოქტორი: იოსებ ხუციშვილი

5. საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი: გიორგი კაკულია

გენერალურ პროკურორად წარსადგენი კანდიდატის მხარდაჭერა

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები მივესალმებით საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად გიორგი გაბიტაშვილის წარდგენის ინიციატივას!

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პროკურატურისთვის, როგორც კონსტიტუციური ორგანოსთვის და თითოეული თანამშრომლისთვის მნიშვნელოვანია კონკურსში ისეთი კანდიდატის მონაწილეობა და გენერალურ პროკურორად არჩევის შესაძლებლობის არსებობა, რომელსაც პროკურატურაში გავლილი აქვს კარიერული განვითარების ყველა საფეხური სტაჟირებიდან - გენერალური პროკურორის მოადგილეობამდე, არის მაღალკვალიფიციური პროკურორი, გააჩნია სისხლის სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, პროკურატურის განვითარებასა და რეფორმირების პროცესში შეტანილი აქვს მნიშვნელოვანი წვლილი, კოლეგებსა და მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ სხვა პირებს შორის სარგებლობს ავტორიტეტით და ნდობით.

ჩვენ, პროკურატურის თანამშრომლები, მხარდაჭერას ვუცხადებთ გიორგი გაბიტაშვილს!

დანართი ხელმოწერები „59", ფურცლად

სახელი გვარი

გიორგი გაბიტაშვილი

პირადი მონაცემები

დაბადების თარიღი	02.01.1982
დაბადების ადგილი	ქ. თბილისი
საცხოვრებელი ადგილი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ., კორპ. 32, ბინა 44

განათლება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი	1999-2004

სამუშაო გამოცდილება

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე	16.12.2018 - დღემდე
საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე	13.06.2013 - 16.12.2018
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი	14.01.2013 - 13.06.2013
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი	09.02 2011 - 14.01.2013
გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი	23.11.2010 - 09.02.2011

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი	14.01.2009 - 23.11.2010
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი	21.09.2007 - 14.01.2009
შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის სტაჟიორი	13.07.2007 - 21.09.2007
მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის სტაჟიორი	01.02.2007 - 13.07.2007
ქ. თბილისის პროკურატურის სტაჟიორი	15.03.2005 - 31.03.2006

წოდება

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი	04.06.2021

ოჯახური მდგომარეობა

მეუღლე და ორი შვილი